ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-136

2010 წლის 16 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-2 განკარგულებაში შევიდეს ცვლილებები შემდეგი რედაქციით:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის მიზნობრივი პროგრამის მე-9 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტში ნაცვლად 3150 გრძივი მეტრისა შეიცვალოს 3006 გრძივი მეტრით და თანხა 3780 ლარი შეიცვალოს 3608 ლარით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნ. ბერაძე**